თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6218383

ნომერი: AR1934364

თარიღი : 15.11.2022

გაცემის თარიღი : 22.11.2022

გაცნობის თარიღი : 22.11.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზარწემის ქ. N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მილენა ცუცქირიძე პ/ნ 01001090860
- საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, VI მიკრო/რაიონი, კორპუსი 7, ბინა 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 ნოემბრის №6203930 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 15 ნოემბერს №AR1934364 განცხადებით მომართა მილენა ცუცქირიძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 11

ნოემბრის №6203930 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საკადასტრო კოდის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 09 ნოემბრის №6188998 ბრძანებით შეთანხმდა №01.14.16.009.506 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სახლი №3-ის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 11 ნოემბრის №6203930 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 11 ნოემბრიდან 2023 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2022 წლის 11 ნოემბრის №6203930 ბრძანებაში კერძოდ, უთითებს, რომ აღნიშნულ ბრძანებაში №01.72.14.021.044 საკადასტრო კოდის ნაცვლად მითითებულ უნდა იქნას №01.14.16.009.506 საკადასტრო კოდი.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 09 ნოემბრის №6188998 ბრძანებით კორექტირებული არქიტექტურული პროექტი შეთანხმებულია №01.14.16.009.506 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. ამასთან, აღნიშნულის გათვალისწინებით, 2022 წლის 07 ნოემბრის №AR1932732 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.14.16.009.506 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული კორექტირებული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა. სამსახურმა, იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა თუმცა, სამსახურის 2022 წლის 11 ნოემბრის №6203930 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად №01.14.16.009.506 საკადასტრო კოდის ნაცვლად არასწორად №01.72.14.021.044 საკადასტრო კოდი დაფიქსირდა. ამასთან, მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში №01.14.16.009.506 საკადასტრო კოდი სწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 ნოემბრის №6203930 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 ნოემბრის №6203930 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტში №01.72.14.021.044 საკადასტრო კოდის ნაცვლად დაფიქსირდეს №01.14.16.009.506 საკადასტრო კოდი.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 ნოემბრის №6203930 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2022 წლის 11 ნოემბრის №6203930 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.